№ 119
სამშაბათი, 6 ივნისი, 1900 წ.

გაზეთის ფასი:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 119
სამშაბათი, 6 ივნისი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

სოფიო სოლომონის ასული ყანდარელისა, ილია ზაქარიას ძე დეკანოზიშვილი, ბარბარე გიორგის ასული ცინცაძისა და მართა გიორგის ასული ნადიროვისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი—ძვირფასის შვილისას, დანარჩენნი—ბიძაშვილისას ნადვორნი სოვეტნიკის

## ზაქარია გიორგის ძის ყანდარელისას

სთხოვენ მობრძანდნენ სამშაბათს, 6 ივნისს, დილის $9^1/_2$ საათზედ, ტფილისის რკინის გზის სადგურზედ გარდაცვალებულის გვამის გამოსასვენებლად ვაგონიდგან და იქიდგან კუკიის მართლ-მადიდებელთა სასაფლაოს ეკკლესიაში წასასვლელად. (1—124—1)

გიგო, ზაზა და ლევან ივანეს ძენი ყიფიანები და მარიამ ივანეს ასული ქართველიშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას თავისს საყვარელის დედის

## სოფიო ყარამანის ასულის ყიფიანისას.

მიცვალებულის გვამს დაასაფლავებენ სოფელს ქვიშხეთში ოთხშაბათს, 7 ივნისს. (1—125—1)

## „ივერიის“ რედაქციისაგან.

ვისაც ჰსურს, პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

## ვთხოვთ,

ვინც იცოდეს მცოხნავთა კუშის ერთი განყოფილების,—„სიგო“-ს, სახელი და აგრეთვე „პიმჩვეოდ“, „ლუჩვაია კოსტ“, გამოგზავნონ „ივერიის“ რედაქციაში.
(5—122—4) ლადო აღნიაშვილი

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის

## გამგეობა

აცხადებს, რომ მუშაობა ამ ბანკში 1 ივნისიდგან 1 სექტემბრამდე იწყობა დილის 9 საათიდგან და სწარმოებს ნაშუადღევის პირველ საათამდე.
ფულის შეტანა და გატანა შეიძლება შუადღის $12^1/_2$ საათამდე.
(3—6.—3)

## ქუთაისის ჰაეროვნული საზოგადოების საყურადღებოდ.

ჰურჭლეულობისა და ავეჯეულობის სავაჭრო მაღაზია ნ. ა. საბაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა ქ. ქუთაისში 1 ივნისიდგან გადატანილ იქმნება ახლად აგებულ თავად ალფონს თუმანიშვილის შენობაში. გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხე, ბულვარის პირდაპირ. (30—6.—14)

## მალოროსსები.

საზაფხულო თეატრი და ბაღი.
სამშაბათს, 6 ივნისს, 1900 წელს,
წარმოდგენილი იქმნება
საზოგადოების სურვილით მეორედ

## გლიცგოი
## აზო—ჟ პავუკი

დრამა 5 მოქ. სიმღერითა და ცეკვით, თხზ. კრაპივნიცკისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი დიკოვისა, ოლგინა, გურიანოვისა; ბ-ნნი სუხოდოლსკი, მარჩენკო, კირილენკო, გორსკი, სოკოლოვსკი და სხვ.
დ ა ს ა ს რ უ ლ

## გუვოლუჩინი

1 მოქმედ. ცეკვითა და სიმღერით.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ორლიკი, დონსკისა; ბ-ნნი მარჩენკო, მირსკი, კირილენკო და სხვანი.
დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.
ანონსი: ოთხშაბათს წარმოდგენილი იქმნება ცნობილი მალოროსსიული ოპერა „ჩერნომორცი“. 3 მოქ.
დირექტრისა ა. ა. ორლიკი, რეჟისორი ა. ა. სუხოდოლსკი.

„ქართულის დრამატიული საზოგადოების“ გამგეობა ამით აცხადებს

## სამ პრემიას

150 მან., 100 მან. და 75 მან.

ქართულ-ორიგინალურ დრამატიულ ნაწარმოებთა დასაჯილდოვებლად.
პრემიის პირობები შემდეგია:
I. საპრემიოდ წარმოდგენილი პიესა უნდა იყოს ორიგინალური, სცენაზედ დაუდგმელი და დაუბეჭდავი. ამასთანავე უნდა შეიცავდეს არა ნაკლებ 4 მოქმედებისა.
შენიშ. პრემია შეიძლება მიეცეს სამ მოქმედებიანს პიესასაც სალიტერატურო და სასცენო ღირსებებისათვის.
II. „დრამატ. საზოგად. გამგეობის“ სახელზე უნდა გამოიგზავნოს პიესა რაიმე დევიზის ზედწარწერით და დაბეჭდილი კონვერტიც, სადაც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი. კონვერტი გაიხსნება მხოლოდ მაშინ, როცა პიესა ცნობილ იქმნება ჯილდოს ღირსად.
III. ვადა პიესის გამოგზავნისა არის არა უგვიანესი პირველის სექტემბრისა, 1900 წ.
IV. პრემია მიეცემა ერთიანად, ან და მხოლოდ იმის ერთი ნაწილი.
V. საზოგადოების გამგეობას აქვს უპირატესი უფლება დაჯილდოებული პიესა წარმოადგინოს თავისს თეატრში ორის წლის განმავლობაში, პრემიის მიცემის დღიდგან; ავტორს არა აქვს უფლება პირველ წარმოდგენამდე ვინმეს სხვაგან წარმოდგენის ნება მისცეს, ხოლო გამგეობის ნება-დაურთველად პირველ ორ წლიწადს პიესას ვერავინ წარმოადგენს ქ. ტფილისში.
VI. დაჯილდოებულს პიესის ავტორს გონორარად მიეცემა თითო წარმოდგენის მთელის შემოსავლის 5 პროცენტი.
შენიშვნა. სამ მოქმედებიან პიესის ავტორს მიეცემა შემოსავლის 3 პროცენტი.
VII. შედეგი პიესების კონკურსისა გამოცხადდება გაზეთებში.
(10—6.—4)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:
ვ. ი. ჭიჭინაძე.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.
გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი—9—10 საათ.
ი. პ. ახალშენიშვილი, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.
მ. ა. პოკროვსკი—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.
მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.
ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.
ა. ნ. შატილოვი—თვალისა 12—1 საათ.
მ. ლ. მარკევიჩი—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. საღოსტაქრო.
ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

საღამოთი:
დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—5—6 საათ.
ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.
სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.
ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი—4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ გედევანიშვილი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. საღოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ს. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.
კ. ი. გძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.
ა. პ. ქარაპეტიანცი 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:
ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 საათ.
ვ. მ. მახვილაძე—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
ო. ტ. არვანიტაკი—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## მთავრობის განკარგულებანი

უმაღლესი სახელდებული ბრძანება უმართებულესის სენატის მიმართ.

(დასასრული *)

9) სოფლის საზოგადოებათა და სოფლებს, რომელთაც, თანახმად კავკასიაში ნამესტნიკების ნამყოფთა განკარგულებისა, ნება ეძლევათ სახელმწიფო ტყეებიდგან ხე-ტყე გაიტანონ თავისს ოჯახის საჭიროებათათვის, გვალადაც არ დაეკარგებათ ეს უფლება. წესი და რიგი, რომლითაც სახელმწიფო ტყეებიდგან უნდა ისარგებლონ, აგრეთვე სახელმწიფო ტყიდგან ერთის რომელისამე ნაწილის გამოყოფა სახმარებლად, დამოკიდებულია მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრსა და კავკასიის მთავარ-მართებელზედ.

10) იმ შემთხვევაში, თუ სახაზინო ტყეები შედარებით მოშარხებული იქნება, ან-და სხვა რამ მიზეზისა გამო შესაძლებელი იქნება ხე-ტყის მასალის ნაცვლად (მუხ. 9) საკომლოდ ტყე მიეზომოთ, საზოგადოებათა და სოფლებს მიეზომავს ტყეს იმის-და მიხედვით, რამოდენი ხე-ტყეც წინად გაჰქონდათ.

11) სახელმწიფო ხე-ტყით სარგებლობისათვის და მიზომილ საკომლო ტყეებში, სახელმწიფო გლეხნი ხაზინის სასარგებლოდ განსაკუთრებულს სატყეო გარდასახადს გაიღებენ.

12) არ შეიძლება გასყიდვა ან დაგირავება და სხვაზედ გადაცემა იმ საკომლო მიწებისა და ტყეებისა, რომლიც „ოტვოდნი ზამლითა“ აქვთ საზოგადოებათა და სოფლებს მიზომილი. ის მიწები და ადგილები, რომლებიც კომლობრივის მფლობელობით უჭირავს თითოეულს მოსახლე-კარეს, შეიძლება მიეზომოს, ანუ გადაეცეს იმათ, ვინც უკვე მიწერილია ან-და აშორებს აღნიშნულს სოფლის საზოგადოებას მიეწეროს. სასამართლოს მიერ აღნიშნულს მიწებსა და ადგილებზედ დადგენილი გარდასახადი არასოდეს არ გარდაჰხდება მიწებსა.

13) იმ მიწებში აღმოჩენილ სიმდიდრეთა შესახებ, რომლებიც სახელმწიფო მოსახლე-კარეთა აქვთ საკომლოდ მიზომილი, უნდა შესრულდეს კანონი, რომლიც სამთო წესდ. მე-201 მუხლში (კანონთა კრებ. ტ. VII, ნაწ. 1, 1893 წ. გამოცემ.) აღნიშნული.

14) მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს შეუძლიან კანონიერის წესით დასამტკიცებლად შეიტანოს: 1) პროექტი იმ წესთა, რომლითაც საკომლო მიწებისა და საადგილ-მამულო სამუშაოთა გაწესრიგება უნდა მოხდეს გუბერნიებში: ტფილისისა, განჯისა, ბაქოსა და ერევნისა; მაზრებში: ქუთაისისა, შორაპნისა, რაჭისა, ლეჩხუმისა, ზუგდიდისა, სენაკისა და ოზურგეთისაში და აგრეთვე სუხუმის ოლქში; საკომლო ტყის მიზომვის შესახებ ნაცვლად იმ სახელმწიფო ხე-ტყისა, რომლიც მოსახლე-კარეთ ეძლეოდა; სატყეო გარდასახადის დადგენისა და აგრეთვე იმის შესახებ, თუ იმავე ადგილებში საკომლო ტყით როგორ უნდა ისარგებლონ, და 2) სია იმ მოხელეთა, რომელთაც 1 პუნქტში მოხსენებულ საადგილ-მამულო სამუშაონი ექნებათ მინდობილი, აგრეთვე ამ სამუშაოთათვის საჭირო ხარჯთ-აღრიცხვა.

II. აღნიშნულ კანონდებათა შესაგსებლად დადგენილ იქმნას:

გუბერნიებში: ტფილისისა, განჯისა, ბაქოსა და ერევნისაში, აგრეთვე მაზრებში: ქუთაისისა, შორაპნისა, რაჭისა, ლეჩხუმისა, ზუგდიდისა, სენაკისა

*) იხ. „ივერია“, № 118.

და ოზურგეთისაში, აგრეთვე სუხუმის ოლქში სამღვდელოებას მხოლოდ მაშინ მიეზომება მიწები, როდესაც ამისათვის საკმაო თავისუფალი სახელმწიფო მიწები იქნება, თანახმად გამოცემ. კანონთა მე-349 მუხლისა და ამ მუხლში შეტანილ 1 და 2 შენიშვნისა; იმ შემთხვევაში კი, როდესაც თავისუფალი სახელმწიფო მიწები ცოტა იქნება, რაოდენობა სამღვდელოებისათვის მისაზომ მიწების უნდა მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა გარდასწყვიტოს უწმიდეს სინოდის ობერ-პროკურორთან შეთანხმებით..

III. მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს მიეცეს ნება შინაგან საქმეთა მინისტრთანა და კავკასიის მთავარ-მართებელთან შეთანხმების შემდეგ აღნიშნული კანონი იმ ქოჩად მავალ (КОЧЕВНИКОВЪ) ხალხის სახელმწიფო მოსახლ-კარეთა ცხოვრებაშიაც შეიტანოს, რომლებიც მდებარებათა I განყოფილებაში არიან დასახელებულნი და რომელთა ადგილ-მდებარეობის განწესრიგება, თანახმად მათის ცხოვრების პირობებისა, საჭიროდ იქმნება ცნობილი.

ნამდვილს მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარის ხელით მოწერილი აქვს: „ნიკოლოზი“.

ცარსკოე სელო.

1 მაისი 1900 წელი.

# ახალი ამბავი

⁂ შაბათს, 3 ივნისს, ქალაქის გამგეობის სადგომში კრება ჰქონდა იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ცეცხლის მქრობელ რაზმის უკეთ მოწყობა-გაძლიერების საქმე. კომისიის სხდომას დაესწრო აგრეთვე ტფილისის პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი კოვალიოვი. კომისიამ განიხილა ამ საქმის შესახებ შეკრებილი ცნობები და აგრეთვე ბ-ნ კოვალიოვისაგან წარდგენილი პროექტი. ეს პროექტი კომისიამ მოიწონა მცირეოდენის ცვლილებით. კომისია ბოლოს შემდეგ მოსაზრებას დაადგა: ცეცხლის მქრობელი რაზმი ქალაქში სამგან უნდა იყოს: ერთი, უმთავრესი, ქალაქის შუა ალაგას, დანარჩენი, უფრო მცირე რაზმები, ქალაქის განაპირა ადგილებში; ამასთან კომისიამ საჭიროდ სცნო ცეცხლის მქრობელ რაზმთან იყოლიონ ბუხრების მწმენდელნიც და შემუშავებულ იქმნას სავალდებულო დადგენილებანი სახლის პატრონების მიერ ბუხრების დაწმენდა-დასუფთავების შესახებ. საბოლოოდ ამ საქმის გადაწყვეტა კომისიამ შემდეგ დროისათვის გადასდო და ამასთან დაადგინა, საქმის უფრო კარგად შესამუშავებლად, მოიწვიოს ტფილისის ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების წარმომადგენელნი და ტფილისის პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი კოვალიოვი.

⁂ ტფილისელ ასოთ-ამწყობებს განუზრახავთ ტფილისში ასოთ-ამწყობთათვის სამარხ კასსის დაარსება. ამ აზრით სტამბებისა, ლიტოგრაფებისა და სხ. ინსპექტორს თავ. ენგალიჩევს უთხოვნია ტფილისის გუბერნატორისათვის, ნება დართოს თავისს თავმჯდომარეობით ქალაქის საბჭოს დარბაზში ან სხვაგან სადმე ასოთ-ამწყობთა კრება მოახდინოს სამარხ კასსის წესდების პროექტის შესამუშავებლად და ამ საქმის გამო მოსალაპარაკებლად.

⁂ შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის თავ. ლენსკის თავმჯდომარეობითა და მიწად-მოქმედებისა, ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლების მონაწილეობით შინაგან საქმეთა სამინისტროში შესდგება საგანგებო ბჭობა, რომელზედაც უნდა გამოარკვიონ, თუ მოსავლის შესახებ ცნობების შეკრება როგორ გააუმჯობესონ და რა წესით აღნიშნონ ხოლმე, სათესს მიწებში რა და რა მოსავალი მოჰყავთ.

⁂ გუშინ წინ, 4 ივნისს, მუშტაიდის ბაღში კნ. ბარბ. ბარათაშვილის თაოსნობით ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის შეუძლებელ მოსწავლეთა სასარგებლოდ გამართული იქმნა ბაზრობა და სეირნობა. ბაღი მართლაც მშვენივრად იყო შემკული, კიოსკებიც ასრევე შემკული და გახალებული. ხალხი ძლიერ ბევრი დაესწრო.

⁂ ტფილისის ვაჭართა საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ ტფილისში სავაჭრო სკოლა იქმნას დაარსებული. საზოგადოებას ამასთან უთხოვნია, რომ სკოლას ა. ი. მანთაშევის სახელი დაერქვას, რომელმაც 50,000 მანეთი შესწირა განზრახულ სკოლას.

⁂ პარასკევს, 2 ივნისს, ქალაქის სადგომში კრება ჰქონდა ტფილისის საბჭოს კომისიას ტფილისში ელექტრონის განათების გამართვის შესახებ მოსალაპარაკებლად. კომისიამ განიხილა-რა პირობანი ფირმების „გელიოსისა“ და „შუკერტი და ამხ.“-სა, დაადგინა, განათების საქმე მიანდოს „შუკერტისა და ამხ.“-ს ფირმას, თუ იგი თანახმა იქნება უცვლელად მიიღოს კომისიის მიერ შემუშავებული ხელშეკრულება; წინააღმდეგ შემთხვევაში ამ საქმის შესახებ კომისია მოლაპარაკებას „გელიოსის“ ფირმასთან გამართავს.

⁂ გამოქვეყნებულ იქმნა დებულება სატრაქტირო გადასახადის მოკრეფის წესის შეცვლის შესახებ. ახალის წესით იმ ტრაქტირებს, რომელიც დადებულს ვადამდის არ შეიტანენ ქალაქის სასარგებლოდ გადასახადს, პოლიცია დახურავს. მაგრამ ამასთან ტრაქტირის პატრონს ნება ეძლევა, გადასახადის შეტანისათანავე განაახლოს ვაჭრობა. ეს დადგენილება მოქმედებაში ამა მიმდინარე წლის 1 ივნისიდგან შევიდა.

⁂ დ. ჭიათურიდგან (შორაპნის მაზრა) გვატყობინებენ, რომ აქ ამ ჟამად შავის ქვის მწარმოებელთა ერთ საჭირ-ბოროტო კითხვად შავის ქვის მაზანდის დაწევა გახდა. აქ შავის ქვის ფასი 8—$7^1/_2$ კაპეიკიდგან 5 კაპ. ჩამოვიდა. ეს გარემოება იმას გამოუწვევია, რომ რკინის გზით შავის ქვის გადატანის ფასს ფუთზედ 3 კაპ. მოუმატებიათ.

⁂ წმ. ნინოს დღეობას, 14 იანვარს, წმ. ნინოს სასწავლებლებში უქმობის საქმე საერო განათლების სამინისტროს ისე გარდაუწყვეტია, რომ, სასურველია, ამ დღეს მოსწავლე ქალნი წირვა-ლოცვას დაესწრნენ, მაგრამ მთელის დღით მეცადინეობის შეწყვეტა შეუძლებელიაო.

⁂ როგორც „კავ.“-ს სწერენ, 30 და 31 მაისს ტფილისის სამოსამართლო პალატის სესსიას განუხილავს ზაქათალაში საქმე ზაქათალის ოლქის ჯამუნის ნაწილის უფროსის კაპიტანის ნ. ა. მერკულოვისა, რომელსაც 500 მანეთის გაფლანგვა და ბოროტ-მოქმედებების ჩადენა ჰბრალდებოდა. პალატას დამნაშავედ უცვნია მერკულოვი და ტომსკის გუბერნიაში გადასახლება გადაუწყვეტია.

⁂ სოფ. კახიდგან იწერებიან, რომ აქ დიდი სიძვირეა ყოველგვარ სანოვაგისა, მეტადრე ხორცისა, რომელიც აქამდე ფასობდა გირვანქა 15 კაპეიკად, ფქვილისა, რომელიც ფუთი რვა აბაზად იყიდება. ნუგნის (პარკის ჭიის) მოსავალს კარგს მოელიან. ყანებსაც არა უჭირს-რა, აგრეთვე ვენახებს. წვიმებმა და სიცივემ გააჭირა საქმე.

⁂ ს. ერთაწმინდა. 30 მაისს, შუადღის 12 საათზედ აიშალა ღრუბელი რაზმითის მთიდგან და გადმოვლო საჯავახო მთა; გადმოიარა ს. ერთაწმინდაზედ და დაუშვა სეტყვა. სეტყვამ ისე დაახარალა სოფლის ნახნავ ნათესი, რომ თითქმის გაანახევრა.

⁂ ქ. ტფილისის პირველ ნაწილში, ვერაზედ, ბ-ნ სვიმონოვს განუზრახავს ეკლესიის აგება. იმ ადგილას, სადაც ეკლესიის აგებაა განზრახული, ბ-ნ სვიმონოვს მიწა აქვს. ეს მიწა ნაჭრებად დაუყვია და ეხლა ჰყიდის მსურველებზედ. ეკლესიას წმ. კონსტანტინეს და ელენეს სახელობაზედ სვიმონოვი თავისს ხარჯით აშენებს. მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ეგზარხოსს უკვე დაურთავს ამის ნება.

⁂ ზაფხულის დადგომის გამო თითქმის ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში მუშაობის დაწყობის დრო შეცვლილ იქმნა. სასაზღვრო პალატაში, მაგალითად, ეხლა მუშაობა დილის 8 საათზედ იწყობა და არის ნაშუადღევის პირველ საათამდე. ამავე დროს იწყება და თავდება მუშაობა 1 ივნისიდგან სამოსამართლო პალატასა და ოლქის სასამართლოში.

⁂ კავკასიის სამკურნალო ნაწილის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ მიეცეს ამ გამგეობას გუბერნიების საერობო თანხიდგან 1000 მანეთი. ეს ფული გამგეობას უნდა მკურნალების გასაგზავნად იმ ადგილებში, სადაც რამე გადამდები სენი გაჩნდება.

⁂ ს. ქვემო-მაჩხაანი. აქეთ დიდი წვიმებია მთელს მაისში. რამდენსამე ქიზიყის სოფელში სეტყვა მოვიდა და ვენახები ძლიერ დაზარალდა. ჭინახულები კარგია. მალე ქერის მკას შეუდგებიან. თუ ამინდმა ხელი შეუწყო, თიბათვის შუა რიცხვებში ყანებსაც დაუწყებენ მკას.

⁂ იქიდგანვე: 19 მაისს, ქვემო-მაჩხაანის მასწავლებელი ილია მენთეშაშვილი ყანების სანახავად წავიდა მინდორში, რომელიც სოფელზედ 20 ვერსით მოშორებულია. გზაზედ მენთეშაშვილს ვიღაც უცნობი ოთხი კაცი დაუხვდა და გაძარცვა მოინდომეს. მენთეშაშვილი არ შეუშინდა და, როგორც იყო, ხანჯლით თურმე მოიგერია. მაგრამ ერთი ვერსი ვერ გაიარა, რომ იგივე კაცები ხელ-მეორედ დახვდნენ. ამ ჟამად-კი აღარა გაუვიდა-რა მენთეშაშვილს და უზომოდ დაუწყეს თურმე ცემა; თან თურმე მისძახოდნენ: „შენი ფული-კი არ გვინდა, ცემა გვინდაო“. ბოლოს იმითი-ღა იხსნა თურმე თავი, რომ დაიმუქრა, აღარ დაგზოგავთო და ვითომ რევოლვერის ამოსაღებად ჯიბისკენ ხელი წაიღო. კაცებს შეეშინდათ და გაიქცნენ. თან წაიღეს ხანჯალი მასწავლებლისა, ქუდი, მათრახი და სხვ. ქვემო-მაჩხაანის ბოქაული თავ. ნიკ. ერისთავი ყოველს ღონისძიებას ხმარობს, დამნაშავენი აღმოაჩინოს. ეჭვი ტიბაანელებზედა აქვთ მიტანილი.

⁂ ტფილისის მოქალაქემ პეტრე მაკაროვმა პოლიციის მე-10 ნაწილში ალექსანდროვისა და ნიკოლოზის ქუჩების ერთს ადგილზე შესასწორებლად ქალაქს აჩუქა 1147 კვ. საჟ. მიწა; გამგეობამ, მიიღო რა ეს საჩუქარი, დაავალა ბ-ნს მაკაროვს იკისროს ხარჯი ამ ადგილის ქალაქზე დამტკიცებისა.

⁂ კვირას, 4 ივნისს, პოლიციის მე-2 ნაწილში, საღამოს 6 საათზედ, გოლოვინის პროსპექტზედ, მანთაშევის სახლში მაქსფრიდის მაღაზიაში შესულა სპარსეთის ქვეშევრდომი ს. ბაბაევი ვითომდა ტანისამოსის სასყიდად; ტანისამოსის გამორჩევის დროს ჩუმად მოუპარავს ერთი შარვალი,

# ფელეტონი

## წერილები ინგლისიდგან

### VIII

პატრიოტთა ალტაცება-სიხარული.—საზოგადოების თვით-ცნობიერება იღვიძებს.—ლიბერალთა გამარჯვება: ავსტრალიის ფედერაცია; ქალაქის საბჭოებში ქალების არჩევა.

მეტად ძნელი საქმე ვიკისრე: საგაზეთო წერილების შემწეობით საზოგადოებრივ და საპოლიტიკო გაჭირვების ახსნა და განმარტება, იმ გაჭირვებისა, რომელსაც ეხლა ინგლისში ჩემს გარეშემო ვხედავ და რომელიც ასეთის სიმწვავით დაატყდა ამ სახელმწიფოს... არ ვიცი, ვწერო თუ არა აწინდელ საქმეების შესახებ, იმ წრეს გადასულ ალტაცებისა და სიხარულის გამო, რომელიც სრულიად არა ჰგავს ინგლისურს, თუ განვაგრძო უკვე დაწყებული განმარტება საპოლიტიკო და საზოგადოებრივ გაჭირვებისა?

მეტი ღონე არ არის, უნდა ერთსაც შევეხო და მეორესაც. არავის ინგლისში, განსაკუთრებით-კი ლონდონში, მცხოვრებს არ შეუძლიან და არც უნდა ეცადოს მხარი აუქციოს და არ მოიხსენიოს პატრიოტთა ის ალტაცება, ის სიხარული, რომელიც ომის დაწყებიდგანვე ათასის ხრიკით იქმნა გამოწვეული და რომელმაც ამ უკანასკნელ ორ კვირაში უკიდურესობამდე მიაღწია. სწორედ გასაკვირველი და გასაოცარია ყველა ის, რაც ეხლა აქა ხდება. უყურებ ლონდონის ქუჩებს, ბაირაღებით, დროშებით, ყვავილთა ხვეულებით, ხალიჩებითა და ფარნებით მორთულს, ზღვა ხალხს, უზომო სიხარულით გატაცებულს, და გაკვირვებასა და განცვიფრებას ეძლევი.

ნუ თუ ესენი ინგლისელები არიან? ნუ თუ ეს უზომოდ მყვირალა ხალხი ის თავ-დაჭერილი, დინჯი და თავ-შეკავებული ინგლისელია, რომლის ხასიათ უცნაურობის შესახებაც ამდენი თქმულება არსებობს?

მერე რა გამარჯვებას დღესასწაულობენ ასეთის სიხარულით? ვინ დაამარცხეს? გერმანია? საფრანგეთი? ან რუსეთი, ეს ძლიერი მეტოქე აზიაში? არა და არა. მილიონთა ბრბოს მთელი ეს სიხარულის ღრიალი გამოიწვია მეფკინგისა და იქ მყოფ მეციხოვნეთა ორის ბატალიონის განთავისუფლებამ, იმ ხუთი-ათას კაცით დასახლებულ მეფკინგისა, რომელსაც ბურებმა ალყა შემოარტყეს. მთელი ეს პატრიოტიზმი მიმართულია იმ ფერმერების წინააღმდეგ, რომელთა რიცხვიც არ აღემატება რობერტსის, კიტჩინერის და სხვათა ჯარის ორ მესამედს, იმ შემთხვევაშიაც-კი, თუ მოხუცებს, ბავშვებს, ავადმყოფებს და დაჭრილებს ჩავთვლით. თითო ისეთ ბურზედ, რომელსაც იარაღის ტარება შეუძლიან, სამი კარგად შეიარაღებული და კარგად გაწვრთნილი ინგლისელი ჯარისკაცი მოდის. აი, ასეთს გამარჯვებას ეგებებიან უზომო სიხარულით. დამეთანხმე, მკითხველო, რომ ეს უზრდელობაც-კია. ბარბაროსნი ოსმალნიც-კი უზრდელად სთვლიდნენ ბერძნებზედ გამარჯვების გამო სიხარულის გამოცხადებას და ამბობდნენ: „სირცხვილია ამაყობა მაშინ, როდესაც ერთი სამს ამარცხებსო!“ ბერძნებს ხომ გაწვრთნილი ჯარიცა ჰყავდათ, და არც ოსმალეთი ჩაითვლება ინგლისად.

მთელს ამ ალტაცება-სიხარულში რაღაც არა-ინგლისური, არა-ევროპიულია. იქნება ამითი უნდათ ჩააჩუმონ საზოგადოებრივ თვით-ცნობიერებისა და სინიდისის ხმა, რომელიც განუწყვეტლივ გაიძახის, რომ ტრანსვაალთან ბრძოლა დიდი დანაშაულობაა უფლებისა, ადამიანობისა და თვით ინგლისის ხალხის ტრადიციის წინაშეო. მაგრამ ამას ვერასოდეს ვერ მოახერხებენ, ქუჩის პატრიოტთა გადაჭარბებული ყვირილ-ღრიალი ვერასოდეს ვერ ჩააჩუმებს გონიერს თვით-ცნობიერებას, რომელიც თანდათან უფრო მაღლა და დაჟინებით ამხელს და აგებინებს ყველას აწინდელის ომის დანაშაულობასა და საზიზღრობას.

დიაღ, საზოგადოებრივი თვით-ცნობიერება უფრო მაღლა და დაბეჯითებით თხოულობს ომის მოსპობას, თხოულობს, რომ ინგლისი დაუბრუნდეს ძველ ტრადიციებს, რეფორმათა, თვით-მმართველობათა და პროგრესის ტრადიციებს. თუმცა პატრიოტნი დაუსრულებელის დემონსტრაციებით სცდილობენ მოწინავე უმცირესობის ჩაჩუმებას, გამარჯვებული რეაქცია მაინც იძულებულია დათმობის გზას დაადგეს.

ამ ხანად ომისა და ძალ-მომრეობის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლეს არამარტო კერძო კაცებმა, ჰუმანიზმისა და განათლების მეგობართ, არამედ ძლიერმა ორგანიზაციებმაც-კი, როგორიც არის, მაგალითად, Trades-Union (ამქარი), სოფლის მუშათა კოოპერატორნი და კავშირნი, ინგლისის დედათა საზოგადოებების ფედერაცია და სხვანი, რომელთა სათავეშიც ინგლისის არისტოკრატიის წარჩინებულნი მანდილოსანნი სდგანან (ლედი გენრი-სომერსეტი, ლედი ვარვიკი და სხვანი).

„შრომის წინამძღოლთა“ მანიფესტზედ ხელი უწერია ას ხუთ (105) კაცს, ინგლისის ვაჭრობასა და მიწად-მოქმედებაში ყველაზედ უფრო სახელ-განთქმულთ. ამ კაცებს მხარს უჭერს ორ მილიონზედ მეტი მწარმოებელი, ერთად შეკავშირებული და შეერთებული. ხელ-მოწერილთა შორის შეჰხვდებით პარლამენტის წევრ-მუშათა გვარებსაც (არჩ, ჯონ ბერნს, ბროდხურსტს, ფენვიკ, კაგარდი, მადდისონ, პიკარდ, ვილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღირებული 8 მან. 50 კაპ. და გაქცეულა. ქურდობა მალე შეუტყვიათ და ქურდი ნაქურდალით მალე დაუჭერიათ.

** შაბათს 3 ივნისს, მიხეილის ქუჩაზე, ვეტცელის სასტუმროს პირდაპირ, ნაშუადღევის 2 საათზე, ცხენის რკინის გზის ვაგონი დასტაკებია მიხეილის ქუჩაზე მცხოვრების აისორის მარიამ დავიდოვის 3 წლის ქალს ვერას; ბავშვისთვის ვაგონისგან დაშავებია მარჯვენა ხელი იდაყვს ზევით. დაშავებული მალე გაუგზავნიათ მიხეილის საავადმყოფოში.

** ხუთშაბათს, 1 ივნისს, პოლიციის მე-5 ნაწილში, შუა ბაზარში, მოქალაქის ბუდდანოვის ეზოში თომა ი. ღვინოვის საყინულედგან ვიღაც ბოროტგანმზრახველს მოუპარავს ერთი ფუთი ხიზილალა, სულ 60 მანეთისა. ბევრის ძებნის შემდეგ პოლიციის მოხელეს მახვილაძეს მოპარული ხიზილალა აღმოუჩენია რაჭის მაზრის სოფ. კვაცხუთის მცხოვრების მიხეილ ს. ბიპოშვილის დუქანში და, როგორც აღმოჩნდა, ხიზილალა მოუპარავს რაჭისავე მაზრის სოფ. გორის მცხოვრებს გლეხს რუბენა იაკობის მეს კახეთელიძეს, რომელსაც დანაშაული უკვე აღუარებია.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ჭაგანი.** (ქუთაისის მაზრა) შარშან „ივერიის“ მე-№ 162-ში დაიბეჭდა ჩემი წერილი, რომლიდგანაც მკითხველი დაინახავდა, თუ რა გაჭირვებაში არიან როგორც ჭაგანი, ისე სხვა სოფლები სარწყავ წყლის უქონლობისა გამო. ამ წერილმა მალიან გამოაფხიზლა ყველა სოფლელი, უფროსი შეგნებული კაცები, რომელთაც მოიყარეს თავი და 1893 წელს დაწყებული, ეხლა წლიწადს მივიწყებული საქმე, ხელ ახლა გააღვიძეს.

თავ-გამოდებითი შრომა და თაოსნობა ამ დიდი საქმისა ეკისრა ჭახაიშის მცხოვრებმა აზნაურმა ვლადიმერ ღოღაბერიძემ, რომელმაც ხუთი საზოგადოებიდგან შეკრიბა ამორჩეული ორ-ორი კაცი და მიჰმართა მთავარ-მართებლის კანცელარიას ამბავის გასაგებად. მთავარ-მართებლის კანცელარიამ გამოუცხადა, რომ წყლის გამოყვანა გადაწყვეტილია და გადაწყვეტილების პირიც ჩაბარა. ამის შემდეგ გამოგზავნილ იქმნენ ინჟინრები და ტეხნიკი, რათა ძველად შემდგარი გეგმა არხის გაყვანისა ცოტათ შეეცვალათ. უწინდელის გეგმით არხს გზის პირას უნდა გაევლო, ეხლა კი, რათა გზებს არა ევნოს რა, ცოტა დაშორებით გაიყვანენ. ამ გვარად სარხე ადგილები გაზომილია და დანიშნულია. მუშაობა, როგორც ინჟინერმა და ტეხნიკმა აგვიხსნეს, დაიწყება სექტემბრის თვიდგან.

დარწმუნდნენ-რა სოფლელნი, რომ ცხენის წყლიდგან უეჭველად გამოდის სარწყავი წყალი, თანახმანი არიან ფული გაიღონ, იმუშაონ და საზოგადოდ ყოველი ხარჯი გასწიონ.

ეხლა ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ სარწყავი წყალი გვეღირსება, და თუ ეს საქმე დამთავრდა, მაშინ ამ ხუთი სოფლის საზოგადოება დიდად დაწინაურდება.

ჩვენი ჭაგანი დიდი ხანია ჰფიქრობდა, — ნუ ჩამოვრჩებით სხვა სოფლებს უკან, ჩვენც დავაარსოთ სასოფლო ბანკიო. ამ საგნის შესახებ არა ერთხელ გვქონდა სჯა-ბაასი; წარსულ წლის დეკემბერში, მოვილაპარაკეთ, გავგზავნეთ თხოვნა და წესდების პროექტი, სადაც ჯერ არს. ამ მოლაპარაკებით იხელმძღვანელა ერთმა აქაურმა ბელადმა: წესდების ნიმუში სხვისგან გადმოიტანა, თხოვნა შესთხზა და გაგზავნა დასამტკიცებლად. ეს ისე მოიმოქმედა, რომ ორის სამის კაცისთვისაც არ უკითხავს რჩევა. ამის შემდეგ ხმა გავრცელდა, რომ თხოვნა გაგზავნილია ბანკის დაარსების შესახებაო, ჩვენც უცდიდით ამბავს, ვიდრე დამტკიცებული წესდება მოვიდოდა. წავიკითხე გაზ. „კავკაზში“, რომ ბ-ნს ფინანსთა მინისტრს ჭაგანის „შემნახველ-გამსესხებელი კასის“ (ბანკის) წესდება დაუმტკიცებიაო. დამტკიცებული წესდება-კი მივიღეთ ამ წლის აპრილში.

ამის შემდეგ საზოგადოება ორ დასად გაიყო: უმრავლესობა თხოულობს „ბანკი“ შუაგულ ჭაგანში იყოსო, ხოლო უმცირესობას დაუყენია, იქ იყოს, სადაც კანცელარიააო. ამნაირად, დამტკიცებული წესდება შემნახველ-გამსესხებელ კასისა, ჩვენის მეთაურების წყალობით, განჯინაშია ჩაკეტილი და განისვენებს. შესაძლოა, იქამდე განისვენოს, ვიდრე მეტრე მოვიდოდეს.

—

ჩვენს ჭაგანში ძლიერ გახშირებული იყო მოარული ავადმყოფობა: წითელა, ხველა, ყელის ტკივილი და სხ., მაგრამ სიკვდილით-კი დიდი არა ვნებია-რა. ამ სენს მოჰყვა „ბღერი“, რომელმაც საქმე გააჭირა. ვინც კი მკურნალს მიმართა, წამლის გამოწერა უჯდება ხუთი-ექვსი მანეთი და სენი მაინც არ რჩება. მკურნალს ვკითხეთ — რა ჰქვიან ამ სენსაო, და გვიპასუხა: „лѣтучая оспа“-ო.

—

ამინდი აქეთ მშვენიერი და საამური. ეხლა ყანებს ჰმარგლავენ; წრეულს პურის მოსავალს ძალიან პირი უჩანს. ასეთი ყანა 10—15 წლიწადია არა ყოფილა ჩვენკენ.

მომავალ ივნისის თვეში უნდა მოხდეს არჩევანი სოფლის მოხელეებისა — მამასახლისისა, მსაჯულებისა და სხვათა. როგორც ამბობენ, მამასახლისად უნდა დაუყენონ პეტრე ფოცხვერია, რომელიც ქუთაისის მაზრიდგან ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ორჯელ გაჰგზავნა პეტერბურგში. ეს კაცი 25 წლიწადს ემსახურებოდა სოფელ ჭაგანს მამასახლისად.

ჭაგანს აქვს ერთი შტატის ეკლესია და ორი ზედ შეწერილი საყდარი. რადგან მცხოვრებთა რიცხვმა იმატა, შტატის ეკლესია თითქმის სამის-ოთხის ვერსტის მანძილზედ დაშორდა. ამატომ 150 კომლმა გლეხობამ მოინდომა საყდარი ოქონი გადმოიტანონ შუა ალაგას, გაამშვენონ და იქვე დაარსონ სამრევლო სკოლა და სავაჭრო დღეო. ამის შესახებ აქვთ მოლაპარაკება და, ვგონებ, მალე შეთანხმდნენ.

სპირიდონ ხვიჩია.

## უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** თანდათან აშკარავდება, რომ ბურებს ინგლისელებისათვის დიდი წინააღმდეგობა გაუწევიათ და ზარალი მიუყენებიათ. დეპეშებიდგან უკვე უწყიან მკითხველებმა, რომ ინგლისელების მიერ პრეტორიის აღებამდე, ბურებმა მთელი რაზმები და ბატალიონები წაიყვანეს ტყვედ; წვრილ-წვრილი დამარცხება, 10, 20 და კიდევ მეტის ჯარის-კაცის ტყვედ წაყვანა ხომ უთვალავია. აშკარაა, ბურებმა არამც თუ ბრძოლას თავი გაანებეს, ეხლა მეუდგნენ მედგრად სამშობლოს დაცვას და შემოსულ მტრის წინააღმდეგობას. ინგლისელებმა, მართალია, პრეტორია აიღეს, მაგრამ ბურები ამას ანგარიშშიაც არ იგდებენ თურმე. ეხლა ისინი რობერტსს უკანიდგან მოექცნენ და გზები, ლიანდაგები და ხიდები თითქმის სულ გაანადგურეს. ბურებს რომ ჯერ იმედი არ დაუკარგავთ, ეს იმათის წარმომადგენლის ლეიდსის სიტყვებიდგანაც სჩანს. ჩვენში ომს სრულიადაც არა სთვლიან გათავებულად, უთქვამს იმას. სწორედ ეხლა შეუდგა ჩვენი ხალხი მტრის ჯარის დაწიოკებას და წვრილ-წვრილად დამარცხებას. რაც ჩვენ ზარალი მოგვივა, ხუთსა და ექვს იმოტლას ინგლისელებს მივაყენებთ. ტყუილადა ჰგონიათ ლონდონში, რომ ბურების საქმე გათავებულიაო. ჯერ კიდევ ბევრჯელ გაჩვენებთ იმათ, თუ რა სასწაულების ჩადენა შეუძლიან ერთ მუჭა ხალხს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

**ჩინეთი.** მთელი ევროპა გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს ჩინეთის საქმეებს. ყველასათვის აშკარაა ეხლა, რომ ეგრედ წოდებული „დიდის მუშტის“ საქმენი თვით მთავრობისა და მოხელეების მიერ არის გამოწვეული. მადლენში მყოფ კათოლიკეთა ეპისკოპოზს ანზერს უთქვამს, რომ ეს მოძრაობა პასუხი ევროპის სახელმწიფოთა მიერ კიაო-ჩაუს, პორტ-არტურის და ვეი-ხაი-ვეის დაჭერისაო. ჩინეთში მცხოვრები ევროპიელნი ერთხმად ურჩევენ სახელმწიფოებს მტკიცედ მოიქცნენ და ეხლავე ეცადნენ ამბოხების ჩაქრობას. ჩინელებს არც წინად უყვარდათ ევროპიელნი, მაგრამ პორტ-არტურის, კიაო-ჩაუსა და ვეი-ხაი-ვეის დაჭერის შემდეგ ერთი ათად და ოცად უფრო მოიძულეს „მოსული ბარბაროსებიო“, როგორც ჩინელები ევროპიელთ ეძახიან. ყველაზედ მეტად ევროპიელთა წინააღმდეგ ქვრივი დედოფალი მეცადინეობს თურმე. ის აქეზებს „დიდის მუშტის“ წინამძღოლთ, ჰნიშნავს გუბერნატორებად, მოხელეებად ამ სექტის მომხრეებსა და სხვაფრივაც დიდს დახმარებას უწევს.

**იტალია**, როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ამას წინად იტალიაში საპარლამენტო არჩევნები მოხდა. ამ არჩევნებში მონაწილეობა მიუღია სულ $1^1/_4$ მილიონ კაცს. ამ რიცხვიდგან სამინისტროს მომხრე დასს მიუღია 650,000 ხმა, ხოლო ოპოზიციას — 590,000; აქედგან ეგრედ წოდებულ საკონსტიტუციო ოპოზიციას — 265,000 ხმა, უკიდურეს მემარცხენეთ — 325,000 უკანასკნელიდგან სოციალისტებს მიუღიათ 170,000 ხმა. შარშანდელთან შედარებით, სოციალისტების მომხრეთა რიცხვი წლევანდელ არჩევნების დროს 70% მეტი ყოფილა.

### ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

სიგრძე რუსეთის ყველა რკინის გზებისა 1900 წლის პირველ იანვრისათვის შეადგენდა 49,543 ვერსტს. ახალი რკინის გზები ამავე დროსთვის შენდებოდა 7000 ვერსტისა. როგორც ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ-გამგეობის ცნობებიდგანა სჩანს, 1898 წელს ფოსტით გაუგზავნიათ წერილები, საქონელი, ნივთები და სხვა — 710,584,626, სულ 4,766,800,589 მანეთისა. დეპეშა გაგზავნილა 95,323,061. შემოსავალი ამ უწყებას ჰქონია 44,862,264 მანეთი, ხარჯი — 33,801,350 მან. წმინდა მოგება დარჩენია 11,060,914 მანეთი.

* * *

ამერიკაში ძალიან გახშირდა ამ ბოლოს დროს ქაღალდის სახლები. ქაღალდს აგურის მაგივრად ხმარობენ. ქაღალდს ჯერ საქაჯავით ამაგრებენ, შემდეგ მარილ-სითხით ჰჟღენთავენ. ამ სითხის წყალობით ქაღალდს ცეცხლი აღარ ეკიდება და ამას გარდა ვერც მიკრო-ორგანიზმები აკლებენ რასმეს. ბოლოს ამნაირად მომზადებულ ქაღალდის აგურს ქონს უსვამენ, რომელიც სინესტისაგან ინახავს. ქაღალდს ორი უპირატესობა აქვს ჩვეულებრივ აგურთან შედარებით: გაცილებით უფრო სუბუქია და ადვილი გადასაზიდი და სითბოსაც უფრო ინახავს. ზამთარში ამნაირის ქაღალდისაგან გაკეთებული სახლი ძალიან თბილია, ხოლო ზაფხულში — გრილი.

* * *

ჩინეთის ზოგიერთ პროვინციაში მეტად უცნაური ჩვეულება ჰქონიათ. ჩინელების აზრით, როდესაც რომელიმე უცოლო კაცი კვდება, იმის მარტოდ დასაფლავება შეუძლებელია. ასეთ კაცს საიქიოს მოსწყინდებაო, ამბობენ ხოლმე ჩინელები. ამიტომ მაშინვე „მეუღლის“ ძებნას შეუდგებიან. მეუღლედ უცოლოდ გარდაცვალებულ კაცს ახლადვე გარდაცვალებულ ქალს მოუძებნიან ხოლმე. ამასთან დიდი მოლაპარაკება იმართება გარდაცვალებულთა ნათესავებს შორის, ასე ეგონება კაცს, ცოცხლების ქორწინება არისო. როდესაც მოლაპარაკებას გაათავებენ, ხელშეკრულობას სწერენ

---

სონ), მუშების ორგანიზაციათა კონგრესის პრეზიდენტებს და სხვათაც. ზოგიერთ ამ წევრს მხარს ათი და ასი ათასი კაცი უჭერს. ასეთები არიან, მაგალითად, ბარნესი, მექანიკოსთა (375 ათასი წევრი) მთავარი მდივანი, ჯონ მაკდონალდი, ლონდონის ტრედ-უნიონისტთა კავშირის მდივანი და სხვანი.

რა თვალით უცქერიან ეს შრომის წარმომადგენელნი ომსა და მისს თავდაპირველს მიზეზებს?

„უთუოდ რამ დიდი მიზეზი მიეცათ, რომ ომი დაიწყესო?“ იკითხავთ. „ეჭვი არ არის“-ო, ეუბნებიან ხალხს. — „და მიზეზები მართლაც ჰქონდათ: ეს ბრძოლა კაპიტალისტების მიერ არის დაწყებული იმ აზრით, რომ შავ-კანიან ხალხის იაფ-ფასიან შრომით თავიანთი შემოსავალი ერთი ათად და ასად აქციონ... სამხრეთ-აფრიკის სავაჭრო ამხანაგობის თავმჯდომარემ, ლორდმა გარრისმა, ამ წინაზედ პირდაპირ აღიარა მეაქციეთა კრებაზედ, რომ 21 მილლიონ თანხაზედ წლიური შემოსავალი 10 მილიონი მათ ვერ აკმაყოფილებს, ცოტავებათ. ხოლო ამხანაგობის ინჟენერმა გამგონდმა დასძინა, რომ ომის შემდეგ 21 მილიონ თანხას ამლენსავე მოვაგებინებთო და სხ!.. მაგრამ არ გეგონოთ-კი, რომ ამით ჩვენ, ინგლისელებს, სამუშაოს გაგვიჩენენ. არა! მათი გარდაწყვეტილებაა, რაც შეიძლება ნაკლებად ისარგებლონ თეთრ-კანიანების შრომით. იმავე გამგონდმა განუცხადა კრებას, რომ ომის შემდეგ მთავრობამ ამხანაგობათ ხელი უნდა შეუწყოს და მღვიმე-მადაროებში სამუშაოდ 80,000 შავ-კანიანი მოგვცესო... ეს არის იმათი აზრი. ჯერ ისევ 1894 წ. გამოსთქვა როდსმა ის აზრი, რომ შავ-კანიანებმა მუშაობა დაიწყონ, მაშინ თეთრ-კანიანების სამუშაო ფასი მთელს ქვეყანაში ძირს დაიწევსო. ომის დროს ხომ ლორდმა გრეიმ პირდაპირ განაცხადა, რომ შავ-კანიანებისათვის შრომა სავალდებულოდ უნდა გავხადოთო“.

მოჰყავთ-რა კიდევ მრავალი სხვა საზიზღარი და ამაღელვებელი გარემოება კაპიტალისტების მიერ დაწყებულ ომის შესახებ, შრომის წარმომადგენელნი მიჰმართავენ ხალხს მოწოდებით და ურჩევენ, რომ ამ სამარცხვინო სისხლის ღვრასა და ძმათა-მკვლელობაზედ ხელი აიღონ.

დედათა კომიტეტის მოწოდებასაც ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს, რომელზედაც კობდენ-უნვეტს, პასს მორს, სპენს ვატსონს, კინგსლეისა და ცენტრალ ბიუროს დანარჩენს წევრ-ქალებს აქვთ ხელი მოწერილი. ამ გვარისავე მოწოდებით მიჰმართეს ხალხს სხვა კომიტეტებმაც. ყოველის მხრიდგან წინააღმდეგობას აცხადებენ. გავლენიან პოლიტიკურ მოღვაწეთა, მაგალითად, სერ კლერკისა, კარტნეისა და სხვათა, წინააღმდეგობამ პარლამენტში თანამგრძნობნი მოიპოვა. შერყეული საზოგადოებრივი შეგნება ინგლისელებისა ახლა ცოტ-ცოტა გამობრუნდა. მტაცებელ კაპიტალისტთა და მათ მიერ მოსყიდულ პრესსისა და პოლიტიკურ მოღვაწეთა წინააღმდეგ ხალხის რისხვა დღითი დღე იზრდება, ძლიერდება. პარლამენტის უმეტესს ნაწილს, რომელიც უიმისოდ სალისბიურისა, ჩემბერლენისა და კაპიტალიზმის ყურ-მოჭრილი მონა და ერთგულია, დღეს ძლიერ აშინებს ეს გაჭირვებული მდგომარეობა. მთავრობის მიერ წარდგენილსა და უმეტესობის მიერ მთლიანად მიღებულს ავსტრალიის ფედერაციის კონსტიტუციას აქ იმ მცირე ნაწილის გამარჯვებადა სთვლიან, რომლებიც გლადსტონის საუკეთესო ტრადიციების მიმდევარნი და თანამგრძნობნი არიან. ამას გარდა კიდევ სხვა მხრივაც გაიმარჯვა ინგლისის მოწინავე საზოგადოებამ: პარლამენტმა დააკანონა, რომ ლონდონის ქალაქის თვით-მმართველობაში *) დღეის შემდეგ ქალებსაც შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონო.

მოწინავე საზოგადოების აზრის ამ გვარ თანაგრძნობით პარლამენტის უმეტესობას განზრახვა აქვს მომავალ საყოველთაო საპარლამენტო არჩევნებზედ კვლავ თეთრი კენჭები ირგუნოს, ხელ-მეორედ არჩეულ იქმნას. კონსერვატორთა უმეტესობა რომ სალისბიურისა და ჩემბერლენის მომხრე იქმნება, ამის ეჭვი არ არის. მაგრამ ამისი მიზეზი მარტო ლორდ რობერტსის გამარჯვება როდია; არც ის არის მიზეზი, რომ პარლამენტის უმეტესობა უმცირესობის სურვილს დაჰყვა ზოგიერთს საგანში. მიზეზი თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაშია და როგორც ინგლისელებს, ისე ფრანგებს, ბელგიელებსა და გერმანელებს, ყველას წილი უდევს ამ უკულმართობაში. ეჭვი არ არის, ამ კრიზისის კერძო ხასიათი ადგილობრივ განსაკუთრებულ ვითარებისაგანაა დამოკიდებული, მაგრამ დასავლეთ ევროპის მოწინავე სახელმწიფოთა საყოველთაო გამარჯვება რეაქციონერებისა და კლერიკალებისა არის შედეგი იმ თანამედროვე გონებით განვითარებისა, იმ ვაგლახ განათლებისა, რომელსაც პირველ-დაწყებითს სკოლებში იძენენ და რომელიც შემდეგ ქუჩის გაზეთებისა, ნახატებიან ფურცლებისა და ჟურნალების კითხვით უნდა შეივსონ.

და აი, ჩვენც სწორედ ამ საზოგადოებრივისა და პოლიტიკურ კრიზისის განხილვას შევუდგებით ახლა.

ვ. მარველი

*) ახალის კონსტიტუციის ძალით, ლონდონი, გარეშე სიტისა, ამას იქით თორმეტ დამოუკიდებელ ქალაქის თვით-მმართველ ნაწილად იქმნება განაწილებული, რომელთაგანაც თითოეულს თავისი საკუთარი მოურავი ეყოლება. აი, ამ სამმართველოში ექმნებათ ნება არჩევისა ქალებს.

და ჯვარის-წერას იწყობენ. ორსავე გვამს ერთს კუბოში სდებენ, სხვა-და-სხვა ლოცვებისა და ცერემონიის შემდეგ „ახლად ჯვარ-დაწერილნი“ მინდორში გააქვთ, ყვავილებს აყრიან კუბოს და რამდენსამე დღეს იქა სტოვებენ.

***

ერთხელ განსვენებულის რომის პაპის პიოს IX-სთან ერთი მეტად მორწმუნე მანდილოსანი შესულა. მანდილოსანს შემდეგის სიტყვებით მიუმართავს პაპისთვის: „ოჰ, წმიდაო მამაო! რომ იცოდეთ, რა შვება მომანიჭა თქვენმა ძველმა ჩულქებმა! რაც თქვენი ძველი ჩულქები ჩავიცვი, ქარებისაგან სრულიად განვიკურნე.

— თქვენ ჩემზედ ბედნიერი ხართ—მიუგო პაპიმ,—მე სულ ყოველთვის ჩემ საკუთარ ჩულქებს ვატარებ, ხან ახლებს და ხან ძველებს, მაგრამ მაინც ფეხები ისე მაქვს დასიებული, რომ სიარული არ შემიძლიანო“.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 ივნისი.

**ლონდონი.** კიტჩინერი იუწყება, რომ ბურებმა იერიში მიიტანეს მდინარე რენოსტერიდგან რამდენისამე მილის მანძილზედ მყოფ ჯარზედ, რომელიც რკინის გზის ლიანდაგის შესაკეთებლად მუშაობდა. ბურები განდევნილ იქმნენ. ინგლისელებს მოუკლეს 1 კაცი და დაუჭრეს 11; მათ შორის ორი აფიცერია.

**ვაშინგტონი.** კაბინეტში ლაპარაკი აქვს ჩინეთში ჯარის გამრავლების შესახებ.

ტიან-ძინში მყოფი ამერიკის ელჩი დეპეშით იუწყება, რომ ქალაქში ბრბონი დათარეშობენ; მოხელეებს არ შეუძლიანთ რამე ზომები მიიღონ. უცხო-ქვეყნელნი ჯერ უვნებელნი არიან.

**ტიან-ძინი.** ხმა დადის, რომ სახელმწიფოთა ჯარები სადამოზედ ეცდებიან ტაკუს სიმაგრეების აღებასაო.

**შანხაი.** 100,000 კაცი საიმპერატორო ჯარისა პეკინს იჭერენ. ქალაქის გალავნის კარები დაკეტილია; კარებს ზარბაზნებით იცავენ. დუნმა განაცხადა, რომ ამიერიდგან უცხო სახელმწიფოს აღარც ერთი რაზმი აღარ შევა ქალაქშიო. ელჩებმა ძუნგ-ლიამენს მიჰმართეს ულტიმატუმით და მოსთხოვეს, რომ კარები გაღებულ იქმნას; მაგრამ პასუხი არ მიუღიათ.

**ვაშინგტონი.** როგორც გარეშე საქმეთა მინისტრს უთქვამს, სხვა სახელმწიფოებს მიუმართავთ და უთხოვნიათ ამერიკის მთავრობისათვის ამერიკის მდგომარეობის გამორკვევა ჩინეთში. იმის სიტყვით, სხვა სახელმწიფოებმა იციან, რომ ამერიკა ჩინეთში დამოუკიდებელია და მხოლოდ კრიზის დროს მოქმედებს სხვებთან ერთად. მინისტრი ჰფიქრობს, რომ სახელმწიფოები დასთანხმდენ, რუსეთსა და იაპონიას თავისი ჯარი გადაესხა ჩინეთში.

**ირკუტსკი.** კალგანიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ უცხო-ქვეყნელნი პეკინში მომწყვდეულნი არიანო. ყოველივე მიმოსვლა კალგანსა და პეკინს შუა შეწყვეტილია. კალგანში აღელვებაა; რამდენჯერმე მისსიონერებსაც დაეცნენ. მისსიონერებს არავინ იცავს. მათი მდგომარეობა საშიშოა.

**ლონდონი.** ბლუმფონტენიდგან იუწყებიან, რომ დევეტმა ერთის ბატალიონის იომანრებისა და დერბიშირის რაზმის გარდა, ორი როტა თავისუფალი მეომარნი კიდევ წაიყვანა ტყვედაო.

**კოპენჰაგენი.** შანხაიდგან იუწყებიან, რომ საფოსტო მიმოსვლა პეკინსა და ტიან-ძინს შორის შეწყვეტილიაო.

**ტიან-ძინი.** აქაურ უცხო-ქვეყნელთა უბნები საკმაოდ უზრუნველ ყოფილია. ქალაქის იმ ნაწილში, სადაც ჩინელნი სცხოვრობენ, „დიდის მუშტის“ ბრბონი გაჩნდნენ: მათ დასწვეს სამი ნიში. მცხოვრებნი ძალიან შეშინებულნი არიან. ტიან-ძინსა და ლანგფანგს შუა ორი ხიდი გაფუჭებულია. უკვე გაგზავნილ იქმნა მუშათა მატარებელი ხიდების შესაკეთებლად. გზა ლაგფანგის იქითაც გაფუჭებულია, რის გამოც სახელმწიფოთა ჯარები შეჩერებულია. გერმანიის რაზმი პეკინში შარა-გზებით მივიდა. ძუნგ-ლი-იამენმა ნება დართო, რომ პეკინში 1,200 კაცი შევიდეს უცხო სახელმწიფოთა ჯარისა.

**კოპენჰაგენი.** ტელეგრაფი შანჰაისა და ტიან-ძინის შორის გაფუჭებულია. ჰფიქრობენ, რომ ტიან-ძინის მახლობლად ბრძოლააო.

**ლონდონი.** მთავრობის წრეებში ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ სამხრეთ აფრიკიდგან ორი ბატალიონი იქმნას გაგზავნილი ჩინეთში.

ტიან-ძინიდგან იუწყებიან, რომ პეკინში კათოლიკეთა ეკკლესია გადაიწვაო.

**იოკოჰამა.** საიმპერატორო ჯარის მიერ პეკინში იაპონიის მოხელის მოკვლამ დიდი ლაპარაკი გამოიწვია. ჟურნალ-გაზეთები საჭიროდ სცნობენ, რომ მთავრობამ უეჭველად დაკმაყოფილება მოსთხოვოს ჩინეთს. ტაკუში რვა სამხედრო გემი იქმნა გაგზავნილი.

**კაპშტადტი.** გორდონ სარინს იმედი აქვს, რომ ორშაბათამდე კაბინეტს შეადგენს.

**ლენგსნეკი.** ფოლკსრუტის ოლქის ბევრი ბური დაემორჩილა ინგლისელებს.

**პარიჟი.** ქუანვალის პრინცი გარდაიცვალა.

4 ივნისი.

**ლონდონი.** სლოფასთან ორი მატარებელი ერთმანეთს დაეჯახა, ოთხი მკვდარია, 60 მძიმედ დაშავებული.

**შანხაი.** ტიან-ძინიდგან მოსულ ცნობებით, იქ უწესოება მომხდარა, რომლის დროსაც ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში რამდენიმე სახლი დაუწვავთ. ქალაქ ს ამ ნაწილში სამი ინგლისისა და ამერიკის ეკკლესია და მრავალი უცხოელთა შენობა დასწვესო, დეპეშების გზავნა შეწყვეტილია, ტელეგრაფის ბოძები მთლად დაუწვავთ; დეპეშების გზავნა ეგრე მალე აღარ დაიწყება. როგორც უცხო სახელმწიფოთა წრეები იუწყებიან, პეკინთან მდგომი 1,000 ჯარის-კაცი „დიდ მუშტს“ თურმე შეუერთდა. გარდა ამისა, ამბობენ, ჩინეთის მთავრობა ყოველგვარ პასუხის გებაზედ უარს აცხადებს იმ შემთხვევაში, თუ ჩინეთის ჯარებს უცხო სახელმწიფოთა ჯარებთან შეტაკება მოუხდებაო.

**ვენა.** გაზეთი „Politische Cores.“ იუწყება, იაპონიის მთავრობამ აცნობა თავისს წარმომადგენლებს, რომ სახელმწიფოთა შეთანხმების გამო იაპონიისა და სხვა სახელმწიფოთა ქვეშევრდომთა დასაცველად 1000 კაცი გავგზავნეთ ტიან-ძინში, სადაც ამ ჟამად მათი მდგომარეობა საშიშიაო.

**ბაქო.** საბუნჩის სამრეწველოებში, აკოფოვისა, მანთაშევისა, ვილშაუსა, ზუბალოვისა და სხვათა ადგილებში ნავთის წყაროებს ცეცხლი გაუჩნდა. ზარალი 500,000 მანეთამდეა.

**გონკონგი.** ბრიტანიის კრეისერი „ტარრიბლი“ ტაკუში წავიდა და თან ორი როტა ველლიის მსროლელი ჯარი წაიყვანა. გემების ზარბაზნები კაპიტანის განკარგულებით ნაპირზედ გადააქვთ. კრეისერი „უნდაუნტენდი“ დაბეჭდილის ბრძანების ქაღალდებით მოულოდნელად ჩრდილოეთისაკენ წავიდა.

**ბერლინი.** გემი „კელნი“ ცზინტაუში წავიდა და თან ახალი ჯარები წაიყვანა.

**ლონდონი.** ბულლერი იუწყება ლენგსნეკიდგან, რომ ბურებმა განგებ დიდი ზარალი მისცეს ნატალსაო.

**პარიჟი.** შვეციის მეფე წაბრძანდა.

**სოფია.** დურანაკულაკის მცხოვრებლებმა ვარნენის ოლქში ხარჯის ამკრებთ წინააღმდეგობა გაუწიეს. მისაშველებლად გაგზავნილს ესკადრონს გზაში სოფლელებმა ტყვია დაუშინეს, რომლის დროსაც ორი ოფიცერი მოჰკლეს; ჯარებიც ესროდნენ და ცამეტი კაცი დასჭრეს. გლეხები გაიფანტნენ. ამის გამო ვარნენის და შუმლინის ოლქებში სამხედრო დროის წეს-რიგი იქმნა შემოღებული.

**პარიჟი.** ელექტრონის რკინის გზის ვაგონი საშინელის სისწრაფით გაქანდა ტროკადეროდგან, ორი კარეტა გადააბრუნა, მიამტვრია ხე და ალმას ხიდთან შედგა. 1 მოკლულია, 13 მძიმედ დაშავებული.

4 ივნისი.

**ლონდონი.** პრეტორიიდგან რობერტსი იუწყება, რომ ბადენ-პოუელმა გუშინ რუსტენბერგი დაიჭირაო; დღეს რაზმი მოდის ბადენ-პოუელის ჯართან შესაერთებლად, გენტერი პატჩესტრომიდგან მიდს. ჰფიქრობენ, რომ იმისი მოწინავე ჯარი იაპონესბურგში 6 ივნისს მივა. გეიდელბერგი მალე იქმნება დაჭერილი, მერე ორანჟეს ახალ-შენი სრულიად მოწყვეტილი იქნება ტრანსვაალისაგან.

ბადენ-პოუელი იუწყება, რომ ის ოლქები, რომლებზედაც გავიარე, მშვიდობიან ცხოვრებას უბრუნდებიან: 1000 თოფზედ მეტი გადმოგვცეს ბურებმაო. მალე მორჩილებას განაცხადებენ. ჰანს ელოფია და პიტ კრიუგერი, პრეზიდენტის შვილი. ბოტას ჯარის უკანა რაზმი, რომელსაც ჰამილტონმა მოუმზადე ბელს მოატანა, გაფანტა და ბოტას ჯარმა უკან დაიწია.

**ლიუბეკი.** არხის გახსნის დღესასწაულზედ იმპერატორმა სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, მახარებს ის, რომ იმედია გერმანია ოდესმე ფლოტს მიიღებს, გერმანიას შეძლება უნდა მიეცეს თავისის ზარბაზნებით დაიცვას თავისი სავაჭრო ფლოტიო. დასასრულ იმპერატორმა სთქვა: „ფლოტის გაჩენით უნდა დავიცვათ მშვიდობიანობა გარეთ, ხოლო არხის გაყვანით გავაადვილოთ მიმოსვლა შიგნით, რაც საჭიროა ჩვენთვის“. (მოწონების ნიშნები).

5 ივნისი.

**პეტერბურგი.** 4 ივნისს საბერძნეთის დედოფალი ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულთან ბრძანდებოდა გატჩინოში.

4 ივნისს ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული შვილებითურთ ვარსკოე სელოდგან ახალ პეტერგოფში გადასახლდნენ საცხოვრებლად.

**ბერლინი.** „ვოლფის სააგენტო“ იუწყება: ლონდონის გაზეთებში დაბეჭდილია „ლაფფანის სააგენტოს“ დეპეშა, განკონგიდგან გამოგზავნილი. დეპეშაში ნათქვამია, რომ როგორც პეკინიდგან იუწყებიან, იქ ყველა საელჩოები დაქცეულია და გერმანიის ელჩიც მოკლულ იქმნაო. „ვოლფის სააგენტო“ უმატებს, რომ ბერლინში ამის შესახებ არაფერი ამბავი მოსულაო.

**პარიჟი.** გარეშე საქმეთა სამინისტრომ არაფერი უწყის იმ ამბების შესახებ, რასაც გონკონგიდგან „საერო სააგენტოს“ ატყობინებენ, რომ უცხო-სახელმწიფოთ საელჩოები პეკინში გაანადგურეს და გერმანიის ელჩი მოჰკლესო; სამინისტროში ყურადღებას აქცევენ იმას, რომ პეკინის ტელეგრაფი გაფუჭებულია და ამიტომ ყველა ცნობას პეკინში მომხდარ ამბების შესახებ ფრთხილად უნდა მოეცქეს კაციო.

**ვაშინგტონი.** აქაურს ოფიციალურს წრეებში არ მიუღიათ არავითარი ცნობა „ლაფფანის სააგენტოს“ მიერ გავრცელებულ ამბისა პეკინში საელჩოების დაქცევისა და გერმანიის ელჩის მოკვლის შესახებ; ხოლო რადგან არც ამერიკის ელჩისა და არც ადმირალ კემპფისაგან ამბავი არ არის, ამიტომ ლაფფანის ცნობას მნიშვნელობას არ აძლევენ; ამავე დროს ის გარემოება, რომ გუშინს აქეთ არავითარი ცნობა არ მოსულა კემპფისაგან, საფიქრებელად ხდის, რომ საქმე ცუდად არის. თუ ტელეგრაფი არ შეაკეთეს ახლომომავალში, მაშინ მანილიდგან ტაკუში მსწრაფლ-მოსიარულე გემი წავა საქმის ვითარების გასაგებად.

**ტიან-ძინი.** ამბავი მოვიდა, რომ 31 მაისს საღამოთი „დიდის მუშტის“ ბრბონი პეკინში შევიდნენო. მისსიები დაქცეულია და საელჩოებს თავს დაესხნენ, მაგრამ ბრბონი განდევნილ იქმნენ მაქსიმის ზარბაზნების შემწეობით. ევროპიელთ, რამდენადაც ვიცით, ჯერ უბედურება არ შემთხვევიათ.

**ლონდონი.** ლეკსნევიდგან იუწყებიან, რომ ბურებმა თავი გაანებეს იმ გორაკებს, რომლებიც ფოლკსრუისს დაჭყურებენო. ამბობენ, რომ ბურების რამდენიმე რაზმი ვაკკერსტრომთან გამოჩნდაო. დღემდის ფოლკსრუსტში 100 ბური დაჰმორჩილდა ინგლისელებს. მეტად ცივი ამინდები დადგა.

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადეს მადლობას ვუცხადებ პეტრე რ. სურგულაძეს, რომელმაც შეჰკრიბა ბაღდადის სახალხო სამკითხველოს სასარგებლოდ 11 მ. 70 კ., და ყველა იმათ რომელთაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი და შემწეობა აღმოუჩინეს ამ სამკითხველოს. სია შემომწირველთა: ნ. ხელთუფლიშვილის ასულმა 1 მ., ბარბარე ვოლსკის ასულმა 1 მ., ან. კლდიაშვილის ასულმა 1 მ.; ნინო ლევანის ასულმა ქიქოძისამ 1 მ., მიხეილ ი. ჩინჩალაძემ 1 მ., მღვდ. ივლიან აბესაძემ 1 მ., სამსონ დათეშიძემ 1 მ., პეტრე სურგულაძემ 1 მ., ვასილ ბექანეიშვილმა 1 მ., პარმენ ჯავროვმა 1 მ., ელენე მდივანმა 50 კ., იასონ ნიკოლაიშვილმა 50 კ., ბენედიკტე მომფორიამ 50 კ., სერგო რობაქიძემ 20 კ., მიტროფანე ლაღიძემ 1 მ., აგრეთვე უგულითადეს მადლობას ვუძღვნი სამსონ როსტომის ძეს კოხრეიძეს, რომელმაც შეჰკრიბა 6 მ. 5 კ. რკინის გზაში მოსამსახურეთა შორის ამავე სამკითხველოს სასარგებლოდ; ბიქტორ ს. გველესიანს, რომელმაც გამოუწერა სამკითხველოს ამ წლის საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“.

მასწავლებელი ვარლაამ ბურჯანაძე.

—

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ ქ-ნს ნატალია ყორბესაშვილს, რომელმაც მიჰკრიბა გორის საზოგადოებაში ფული და გამოიწერა საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ გორის ტაძრის სამრევლო სკოლისთვის, რითაც დიდად გაახარა პატარა ბავშვები.

გორის ტაძრის სამრევლო სკოლის მასწავლებელი ო. კასრაძე.

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული:

პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

6 ივნისი

საქმე თავ. ივანე ჯორჯაძისა, მარიამ ტატულაშვილისა და მამედ ანტილაშვილისა რომელთაც მარიამის ქმრის მოკვლის ბრალი ედებათ.

სოლომონ გეგეჭკორიასი, ქეთევან ელეფთეროვისა და სხ., რომელთაც კაცის-კვლის ბრალი ედებათ.

დავით შანშიაშვილისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-1525 მუხ. აღნიშნული ბრალი ედებათ.

არჩილ ტოტაძისა, რომელსაც ბერიძის მოკვლა და ლომსაძის მოკვლის განზრახვა ედება ბრალად.

თავ. რაფაელ ვაჩნაძისა და საბა კუბსიაშვილისა, რომელთაც სასჯ. დებულ. მე-1653 მუხ. აღნიშნული ბრალი ედებათ.

ამას გარდა პალატა ამ დღეს განიხილავს იმათ საქმეს, რომელთაც საიდუმლოდ არყის ხდის ბრალი ედებათ, და მათ შორის:

ქეთევან არდამონაშვილისას,
იორდანე კასრაძისას,
ივანე საათაშვილისას,
ბექან მღებრიშვილისა და ევთიმე ჩმოკაშვილისას,
ივანე გეგელაშვილისას,
ილიკო ჩიბარაშვილისას,
ფიდო ბიცოშვილისას,
ალექსი კოჭიაშვილისას და
სარდიონ გურასპაშვილისას.


# განცხადება

გამოვიდა ახალი წიგნები:

ა) „უკვდავთა ლოცვანი“
ფასი: ყდით 20 კაპ., უყდოთ 15 კ.
ბ) ქართული მწერლობა მე X საუკუნემდე, ფასი 40 კაპ.
გ) Царица Тамара, ფასი 50 კ.
დ) Груз. обители внѣ Грузіи, ფ. 25 კ.
ე) Истор. груз. церкви, ფ. 40 კ.
(20—უ.—5)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 5-го Іюня 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე